საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეაბჯრე

მეაბჯრე (ისტ.), ა ბ ჯ რ ი ს მ ტ ვ ი რ თ ვ ე ლ ი , ს ა ჭ უ რ ვ ე ლ თ მ ტ ვ ი რ თ ვ ე ლ ი . 1. დიდგვარიანი მხედრის (რაინდის) აბჯრის (საჭურვლის) მზიდავი ახალგაზრდა მეომარი. როგორც საგანგებო თანამდებობა, ეძლეოდათ წარჩინებული პირების შვილებსაც. მაგ., სარგის II ჯაყელი (1306–41) „აღზრდილი იყო აბჯრის მტვირთველად“; 2. აბჯრის მნე (მოხელე, განმგებელი) ძვ. საქართველოში, იგივე ჯაბადარი (ჯაბახანის გამგე). ემორჩილებოდა ამილახორის თანაშემწეს – მეაბჯრეთუხუცესს.

ლიტ.: ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი კ., ქ ა ფ ი ა ნ ი ძ ე მ., ქართული საჭურველი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ.1, თბ., 2000; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3–4, თბ., 1962.

ი. შაიშმელაშვილი.